

პედაგოგიკა - აღზრდის მეცნიერება

ლალი მაჩაიძე

ლაგოდები კართუბნის საჯარო სკოლის დაწყებითი კლასის სერტიფიცირებული პედაგოგი

მანანა მოლოდინაშვილი

ლაგოდები კართუბნის საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის სერტიფიცირებული პედაგოგი

რეზიუმე

შეუფასებელია პედაგოგის როლი ბავშვის პიროვნებად ჩამოყალიბების პროცესში. მას შეუძლია სიყვარულითა და სიღრმით ნებისმიერი საგნის მრავალმხრივი ინტერპრეტაციით სწავლება.

პედაგოგმა, კომუნიკაციით ინდივიდებთან, სკოლასთან, უმაღლეს სასწავლებელთან, უნდა განუვითაროს მოზარდს, გონებრივი და ფიზიკური უნარ-ჩვევები, მოსწავლეებს უნდა ჩამოუყალიბოს ლიბერალურ და დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებულ სამოქალაქო ცნობიერება, რათა დაეხმაროს მათ ოჯახის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინაშე საკუთარი უფლება მოვალეობების გაცნობიერებაში.

მასწავლებელი ვალდებულია კარგად დაგეგმოს სასწავლო პროცესი. დაეხმაროს მოსწავლეებს პრობლემის გააზრებაში, საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენაში, შესაბამისი უნარების განვითარებაში, რადგან მოსწავლეებისათვის მხარდაჭერასა და პოზიტიურ გამოხმაურებას დიდი მნიშვნელობა აქვს. სწავლის პროცესიც ხომ მაშინაა წარმატებული, თუ მოსწავლეებს საშუალება აქვთ, უნარები განვითარონ სხვადასხვა როლისა და შესაბამისი პასუხისმგებლობის მორგებით.

საკვანძო სიტყვები : პედაგოგი, აღზრდა, მეთოდი.

ბავშვის პიროვნების ჩამოყალიბებაში, როგორც ცნობილია, განსაკუთრებული ადგილი უკავია მასწავლებელს. დადგენილია, რომ მოსწავლეს მეტწილად ის საგანი უყვარდება, რომლის პედაგოგი გამოირჩევა ნაყოფიერი სწავლების შესაფერისი თვისებებით. პირველყოფლისა, ეს არის პიროვნული ღირსება და მისაბამ მაგალითად ყოფნის უნარი, მასწავლებელს უნდა შეეძლოს, დაანახოს მოსწავლეს სასწავლო დისციპლინა არა როგორც რაღაც იზოლირებული „საგანი“, არამედ როგორც სამყაროს, ბუნებისა და სამყაროს ურთიერთდაკავშირება სულიერი კულტურის სივრცეში.

მასწავლებელს უნდა შეეძლოს, დაინახოს მოსწავლეში განუმეორებელი ინდივიდუალურობა და მოახდინოს მისი კულტივირება. საბოლოოდ ის კი არ არის მთავარი, რომელ საგანს ასწავლის პედაგოგი, არამედ გადამწყვეტია ის, თუ როგორი მეთოდოლოგიური გამართულობით, რა ინტენსივობით, სიღრმით ასწავლის და რამდენად იჩენს სიყვარულს თვითონ მოსწავლისადმი.

ყოველივე ზემოაღნიშნული ცხადს ხდის, რომ სკოლაში არა მხოლოდ საგანთა შერჩევა და მათი მიწოდების მეთოდოლოგიაა მნიშვნელოვანი, არამედ პედაგოგთა

კვალიფიკაციასა და დისციპლინის სიღრმისეულ ცოდნასთან ერთად, ამ საგნის მრავალმხრივი ინტერპრეტაციის უნარი და რაც გადაწყვეტია, პიროვნული მიზიდველობა, ზნეობრიობა. თუ პედაგოგი გულგრილია, არ ესმის მოსწავლის მოთხოვნილებანი, ვერ წვდება ბავშვის პოტენციალს, არ ცდილობს იყოს მისი მესაიდუმლე, არ ეზიარება ბავშვის ფაქიზ სულიერ სამყაროს და მხოლოდ ვალდებულებებსა და მოვალეობებზე ესაუბრება ცივი ინტონაციებით, მაშინ ბავშვი შესაძლოა ჩაიკეტოს, გაუცხოვდეს და პედაგოგში ველარ დაინახოს უფროსი მეგობარი და გარკვეული აზრით „თავისიანი“.

აღნიშნულთან მიმართებით, ძალიან საინტერესოა გამოჩენილი ამერიკელი ფსიქოლოგის უ.ჯეიმის შეხედულებანი. მისი პოზიციით, არსებობს ორი ტიპის ნება და ორი ტიპის შეკავება--დათრგუნვითი და ჩანაცვლებითი; მაგალითად, თუ ბავშვს დათრგუნავ და აიძულებ დაგემორჩილოს, ეფექტი იქნება მეტად სუსტი. შენ უნდა შეძლო, მისი „არასწორი ინტერესი“ რაღაც სხვა, უფრო ინტენსიური და პოზიტიური ინტერესით ჩაანაცვლო.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ 7-8 წლის ბავშვებს მასწავლებლები და მშობლები ამჩნევენ, რომ პატარები აღარ კმაყოფილდებიან საგანთა უბრალო თვალიერებით, მათ სურთ იცოდნენ, რატომ არიან ისინი ასე მოწყობილნი, რატომ შეიქმნა საერთოდ? და ა.შ... კითხვა „რატომ“ ძალიან აქტუალურია სკოლამდელებშიც, მაგრამ ისინი ნებისმიერი პასუხით კმაყოფილდებიან. სხვა მდგომარეობაა მოსწავლეებთან--უფროსებისაგან, ან მასმედიისაგან წამოსული ინფორმაციის კვალდაკვალ ბავშვები აღარ ღებულობენ შემთხვევით, ზედაპირულ პასუხებს და ითხოვენ ისეთ განმარტებებს, რომლებიც შეესაბამება გარემოს შესახებ ფაქტებისა და წარმოდგენების სისტემას. რა თქმა უნდა, სკოლამ გვერდი არ უნდა აუაროს ამ გარემოებებს; მან უნდა აიტაცოს და განავითაროს მოსწავლის თეორიული მსჯელობის ჩანასახები, მისცეს მას საჭირო განმარტებები მიზეზებზე, შედეგებზე, საარსებო პირობებზე.

ამგვარი გზით, კონკრეტულ და ხატოვან აზროვნებასთან ერთად, პატარები, რომლებიც ეძებენ მიზეზებს, საგანთა და მოვლენათა საფუძველს, თანდათან მათთვის განყენებულ აზროვნების მარტივ ხერხებსაც ისწავლიან. ბავშვის ყურადღება გადმოერთვება არაარსებითიდან არსებითისაკენ. სიტყვა „არა“ მათთვის ნაკლებ მისაღებია. ჯეიმსი თვლის, რომ იმდენად ტყუილს კი არ უნდა ებრძოლო, რამდენადაც სიმართლე უნდა შეაყვარო ადამიანს მთელი არსებით.

ცოდნისა და გამოცდილების გაზიარება, უმაღლეს და საშუალო სკოლას შორის, აკადემიური ურთიერთობების განვითარება გაღრმავება, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს სწავლების ხარისხის გაზრდას როგორც საშუალო, ისე უმაღლეს სკოლაში, პედაგოგის მეცნიერების თეორიისა და პრაქტიკის განვითარებას, რაც თავის მხრივ დაგვეხმარება თანამედროვე საგანმანათლებლო პროცესებში არსებული სირთულეებისა და პრობლემების გაანალიზებაში.

კომუნიკაცია ინდივიდებთან, სკოლასთან, უმაღლეს სასწავლებელთან უვითარებს მოზარდს გონებრივ და ფიზიკურ უნარ-ჩვევებს, აძლევს საჭირო ცოდნას, ამკვიდრებს ჯანსაღი ცხოვრების წესს, მოსწავლეებს უყალიბებს ლიბერალურ და დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებულ სამოქალაქო ცნობიერებას და ეხმარება მათ ოჯახის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინაშე საკუთარი უფლება-მოვალეობების გაცნობიერებაში

ამრიგად, მიიჩნევს, რომ ნეგატიური კუთხით არ უნდა აღიქვას მოსწავლეთა ქმედებები, არამედ პოზიტიურის მიმართ უნდა გაუღვივო ბავშვებს სიყვარული და ამ პოზიტიურ მოვლენებზე გააკეთო აქცენტი.

თუმცა აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ქება და შეფასება ობიექტურ ჩარჩოებს არ უნდა გასცდეს, ნებისმიერი მოსწავლის შემთხვევაში აქცენტირება უნდა მოხდეს ყველა მცირე წარმატებაზე, რაც შესაძლებლობას მოგვცემს, ყველა მოსწავლეს გავუღვივოთ ინტერესი მივალწევინოთ შედეგისათვის, ნებისმიერი საგნის მიმართ შესაძლებლობის ფარგლებში. ამ დროს აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ გარკვეული ხასიათის განსხვავება გოგონებსა და ბიჭებს შორის. გოგონებს უკეთ აქვთ გამოხატული ვერბალური უნარები და უკეთ ესმით დაწერილი ტექსტი. ბიჭებს კი უკეთ აქვთ განვითარებული სივრცითი აზროვნება, უკეთ ახერხებენ ძიებით აქტივობას, ახალი იდეების გენერირებას. გოგონები ახალ იდეებს სრულყოფილ ფორმას აძლევენ. ბიჭებს უფრო დიდხანს შეუძლიათ ყურადღების კონცენტრირება მათთვის საინტერესო საკითხებზე, ვიდრე გოგონებს. ამიტომ მასწავლებელმა გაკვეთილზე უნდა შექმნას ისეთი პირობები, რომ დასმული ამოცანა სხვადასხვა ხერხითა და საშუალებით შესრულდეს.

კარგად დაგეგმილი სასწავლო პროცესი გულისხმობს, რომ მასწავლებელმა ფასილიტატორის როლი უნდა შეასრულოს. იგი უნდა დაეხმაროს მოსწავლეებს პრობლემის გააზრებაში, გადაწყვეტილების გზების ძიებასა და უნარების განვითარებაში. ამ მიზნით, აუცილებელია სასწავლო კურსის ძირითადი ნაწილი დაეთმოს ჯგუფურ მუშაობას და სხვა კოლაბორაციულ აქტივობებს, სადაც მოსწავლეებს საშუალება ექნებათ, საკუთარი შესაძლებლობები გამოავლინონ და შესაბამისი უნარები განვითარონ. მასწავლებლის მხარდაჭერასა და პოზიტიურ გამოხმაურებას დიდი მნიშვნელობა აქვს.

სასიცოცხლო უნარების შესწავლისას დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ მასწავლებელმა შექმნას ისეთი სასწავლო გარემო, რომელშიც მოსწავლეებს საშუალება ექნებათ, მოირგონ სხვადასხვა როლი და შესაბამისი პასუხისმგებლობაც აიღონ. მათ უნდა შეძლონ გადაწყვეტილებების მისაღებად მრავალი გზის მოძიება და პრიორიტეტული ალტერნატივის შერჩევა. შესაბამისად, უნდა შეძლონ სხვისი აზრის მიღება, ჯანსაღი ურთიერთობების დამყარება. სწავლების პროცესი წარმატებულია, თუ მოსწავლეებს საშუალება აქვთ, უნარები განვითარონ სხვადასხვა როლისა და შესაბამისი პასუხისმგებლობის მორგებით.

უნდა გვახსოვდეს, რომ იდეალური პედაგოგიური მიდგომა არ არსებობს, არ არსებობს იდეალური სახელმძღვანელო პედაგოგიკაშიც, რომელიც სასურველ შედეგს მოგვცემს, ამიტომ უნდა გავითვალისწინოთ პრინციპი, „მე უნდა ვიყო შემოქმედი“, რაც თითოეული მასწავლებლისთვის მოწოდებაცაა და მოვალეობაც.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. 5წლის ასაკის ბავშვის სწავლა-სწავლების თავისებურებანი-ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი, 2011წ.
2. როგორ ვასწავლოთ მისწავლეებს აზროვნება(I-II ნაწილი)-ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი, 2007-2008.